# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**სამშაბათი 24 ივნისი**

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

**№ 87** ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 **№ 87**



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „ი მ ე რ ე თ ი“ —

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ქკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მ იღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო **სამკურნალო**

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნერვების.

| | | |
|---|---|---|
| **ბ. ა. მირაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა. | . . . . . . | 1—2 |
| **გ. ს. ნადირაძე.**—შინაგანი და ბავშვის | . . . . . . | 10—11 |
| **ა. ა. რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საზებიო ყოველ დღე | . . | 11—2 |
| **მ. დ.** [illegible] | | |
| **გ. ა. ჭოლოშვილი**—საზებ., ქალთა და შინაგ. | . . . . . | 12½—2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | | |
|---|---|---|
| **გ. ლ. ქარქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით | . . . . | 4½—5½ |
| **გ. ა. ჭოლოშვილი**—საზებიო, ქალთა და შინაგ. | . . . | 5½—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი**

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის **აბანო.**

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

მმა ქორქოლაშვილების მაღაზიაში

**ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხისა დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა 9 კაპიკათ.



მმ. ქორქოლაშვილების მაღაზიაში ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი. მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის ინგლისური შაბიაბანი გირვანქა 9 კაპიკათ.






მმ. ქორქოლაშვილების მაღაზიაში ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი. მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის ინგლისური შაბიაბანი გირვანქა 9 კაპიკათ.

მმა ქორქოლაშვილების მაღაზიაში

**ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა 9 კაპიკათ.



სპეციალური წიგნის მაღაზია

კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამოს, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ გზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ექიმის იკ. ზოკერიას

**საავათმყოფო**

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს დებულობენ ყოველ დროს.

**ექიმი** ბ. ა. **მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლა ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

**ს. ა. ცეიტლინი.**

[illegible] ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება. მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. სალ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით. ტელეფონი 153.

◆ შემთხვევით ◆

**იყიდება**

ხელმისაწდომ ფასში საბაკალეინო დუქანი მთელი მოწყობილებით

**ადრესი:** სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი იკითხეთ ანთიმოზ ქორიძე.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ხალვთო სჯულის მასწავლებელთა

**საყურადღებოთ.**

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული სალვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

**ექიმი** **ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.




**სამოსწავლო მთავრობის ნებართვით**

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

**სასწავლებელს**

ორივე სქესის ბავშვთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშვების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჯოლავასი.


## სოც.-დემოკრატია და წერა კითხვის საზოგადოება.

(იხ. „კლდე“ № 25).

„მონასტერი აირიაო“, სწორედ ჩვენს ჟურნალ გაზეთებზეა ნათქვამი. ერთმანეთისა ვეღარა გაგვიგია რა და მოყვარე მტრისაგან ვეღარ გაგვირჩევია!

გაზეთი „კლდე“, ჩვენი თანამოაზრე, ჩვენივე მიმართულების ამსარებელი, „ალარმისტებს“ გვიწოდებს იმის გამო, ჩვენ რომ ვსთქვით, ეროვნულ-კულტურული დაწესებულებანი სოციალდემოკრატიას არ უნდა ჩავუგდოთ ხელში-თქო.

ვერ დავეთანხმებით „კლდის“ აზრს, ვითომ ქართველი დემოკრატიის მესვეურნი და მეთაურნი სოციალდემოკრატია არის. მაშ, ჩვენ მხოლოდ მაჩანჩალა ვყოფილვართ, რაღა!

ვის უნდა ვუწოდოთ დემოკრატია? ერის შეგნებულ ნაწილს, რომელიც მუშაობს ხალხთან ერთად და ხალხისათვის.

და განა მარტო სოციალ-დემოკრატიას აქვს ამგვარი მიზანი და ტაქტიკა?

ფედერალისტები გამოდიოდენ დღემდის, როგორც ეროვნული დემოკრატები. და მიტომ ჰქონდათ ნიადაგი.

მოსწავლე ახალგაზდობისა, სახალხო მასწავლებლებისა, წვრილი მემამულეებისა, წვრილი და მსხვილი ვაჭრებისა, სამღვდელოებისა და სხ. დიდი უმეტესობა—ეროვნული დემოკრატია არის.

გლეხების უმეტესობა ჯერ პარტიათა გარეშე სდგას, მაგრამ თავისი რწმენითა და მდგომარეობით. ისიც ეროვნული დე- [illegible] დემოკრატია ემყარება მხოლოდ ქალაქის პროლეტარებს, საქარხნო მუშების, უმეტესობას. დემოკრატიის ეს ნაწილი კი უმნიშვნელო ძალას წარმოადგენს ეროვნულ დემოკრატიასთან შედარებით.

მაშასადამე იმის თქმა, ქართველი დემოკრატიის მესვეურნი სოციალდემოკრატები არიანო, დიდი შეცდომაა.

„ქართველი ხალხის ინტერესებისთვის ჩვენ თვით დასელებთან წავალთ ერთად და არ შევუშინდებით იმასაც, თუ ჩვენი „სოციალისტები“ იმის მტკიცებას დაგვიწყებენ, რომ ეშმაკი სჯობია ქართველ-დასელსო“, ამბობს ავტორი. მაგრამ განა „დასელებიც“ სოციალისტები არ არიან? და რატომ უნდა ვიყოთ „დასელებთან“ ერთად „სანფარების“ წინააღმდეგ? ვერ გაგვიგია.

პირიქით, ჩვენ თუ ბლოკი უნდა შევკრათ, ისევ „სანფარებთან“, რადგან ეროვნულ ავტონომიას აღიარებენ. მართალია, ამ უკანასკნელ დროს მათ აგრეწოდებული „რეალური მოსახლეობის“ პრინციპისათვის განაპირა მაზრები ჩამოაცალეს მომავალ საქართველოს, მაგრამ ეს ცოდვა მხოლოდ რამდენმამე პირმა ჩაიდინა და ეწინააღმდეგება ძველს პარტიულ დადგენილებას. იმედია, საქმე ამ მხრით მალე გამოსწორდება და პარტია პირუთვნელსა და ულმობელ მსჯავრს დასდებს ზოგიერთი არა მკითხე წევრის ამ ყოვლად შეუწყნარებელ საქციელს.

„ყველა მიმართულებას უნდა ჰქონდეს თავისი ხმა საერთო ეროვნულ ნიადაგზეო“, ბძანებს ავტორი. ნორმალურ პირობაში, მართალია, ასე უნდა იყოს. მაგრამ მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ, სოციალდემოკრატები, სადაც კი მოიკალათებენ, იქ სხვას აღარ შეუშვებენ.

და, „წერაკითხვის საზოგადოება“ თუ ხელში ჩაიგდეს, იქ აღარც „კლდის“ პარტიას ექნება ადგილი და აღარც „სანფარებს“. ნურავინ იფიქრებს, მათ შეთანხმებით იმოქმედონ, თუ კი ხელში ძალა ექნებათ!

ეროვნულ-კულტურული დაწესებულება—ნეიტრალური უნდა იყოსო, ამბობს ავტორი. უნდა იყოს, ვეთანხმებით, მაგ-

რამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სოციალდემოკრატთა ნეიტრალური არ არის და თავის პარტიულ მიმართულებას ყველაფერს ანაცვალებს.

ბოლოს, ავტორის სიტყვით, საჭიროა, ეროვნულ-კულტურული დაწესებულების დემოკრატიზაცია, ე. ი. საწევრო ფულის შემცირება. კი, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, სამი მანეთიც დემოკრატიული გადასახადია. თვარა რატომ აბაზი არ უნდა დავაწეროთ ან კაპეიკი? ეს ხომ კიდევ მეტი დემოკრატიზაცია იქნებოდა? მაგრამ მაშინ ხომ ერთი ასად უნდა გამრავლებულიყო წევრთა რაოდენობა?!

არა, ბატონებო! წერაკითხვის საზოგადოება პოლიტიკური ბრძოლის მოედანი არ არის, არამედ კულტურული დაწესებულებაა, რომელსაც ყველაზე უფრო ფული, ქონება სჭირდება. ამ მხრით კი, სჯობია, ისევ 3 მანეთი დარჩეს საწევრო ფულად.

მეორე მხრით, სოციალდემოკრატიას თუ ჩაუვარდა ხელში, ამ დიდმნიშვნელოვან დაწესებულებას მოაკლდება თანაგრძნობა საშუალო წრეებისა და მდიდარი ქართველებისა და მისი შემოსავლის წყარო სრულიად დაშრება.

დასასრულ უცნაურია ის აზრი, სოციალდემოკრატია განაციონალისტდება, ეროვნულ კულტურულ დაწესებულებათ რომ ხელში ჩაიგდებსო. ვფიქრობ, უფრო ამ დაწესებულებათა სოციალდემოკრატიზაცია მოხდება!

ამიტომ სრული უფლება გვაქვს მოვახსენოთ სოციალდემოკრატებს: ჯერ განაციონალისტდენ—და მერე გავუღებთ მათ ხსენებულ დაწესებულებათა კარებს.

მანამდის კი, ჩვენი ფიქრით, ეს დაწესებულებანი ეროვნული დემოკრატიის ხელში უნდა დარჩენ.

## ჩვენი პრესა.

ვანო მაჩაბლის დაკარგვის 16 წლის თავის გამო გაზეთი თემი სწერს:

,,26 ივნისს შესრულდება 16 წელიწადი, რაც დავკარგეთ ეს წარჩინებული დაუვიწყარი ადამიანი. ჩვენდა საუბედუროდ აქამდინ ხეირიანად არა ვიცით-რა არც მისი ცხოვრებისა და არც მისი უცნაური ბოლოს [illegible] წრეულს, როგორც დღევანდელი განცხადებიდან დაინახავს ჩვენი მკითხველი, მუდამ მოსაგონარ მოღვაწის მეუღლეს განუზრახავს შექსპირის მისი თარგმანის ცალკე წიგნად გამოცემა. ეს სწორედ დიდი საქმეა, რადგანაც პირდაპირ წარმოადგენს ქართული სიტყვიერების საუნჯეს, თუმც უცხო ენიდან არის ნათარგმნი. ამას ჰმოწმობს თვით დღევანდელი წერილი ბ. ოლივერ უორდროპისა. არ შეგვიძლია, აქვე მადლობა არ მოვახსენოთ ქნ. ანასტასია მაჩაბლისას აგრეთვე იმის გამოც, რომ მან გადმოსცა ჩვენს რედაქციას ის მოგონებანი, რომელიც მიიღო თავის მეუღლის შესახებ სხვადა სხვა პირისაგან. ზოგიერთს საყურად ღ'ოს დღესვე ვბეჭდავთ. სასურველია, სხვამაც გამოაქვეყნოს თავისი მოგონება ამ შესანიშნავ მოღვაწის შესახებ. დარწმუნებული ვარ ბევრი მასალა ექნებათ თვით მის ძმას ვასილ მაჩაბელს, აგრეთვე მიხ. მაჩაბელს, ექ. გრ. გაბაშვილს, გრ. ყიფშიძეს, სტ. ქრელაშვილს, ვალ. გუნიას, დავ. მესხს, მოსე ჯანაშვილს, ალექსი ჭიჭინაძეს და ბევრს კიდევ სხვას".

ნეტარხსენებული მოღვაწის ივ. მაჩაბლის ბიოგრაფია და მისი ცხოვრების გარშემო გამეფებული საიდუმლოების გაფანტვა არათუ მოვალეობაა ქართველის საზოგადოებისა, არამედ ერის სინიდისსაც დაამშვიდებს.

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნიის მარშალმა დ. ო. ნიჟარაძემ ამ დღეებში მოწერილობა მიიღო მთავარმართებლის კანცელარიიდან, რომ ქართულ გიმნაზიის გამგეს, ბ. ი. ოცხელს და მის თანაშემწეს ბ. ს. ხუნდაძეს წინადადება მიეცით, რომ 1 ივლისიდან სამსახურიდან გადადგენო. ასეთი განკარგულება შედეგია ქართულ გიმნაზიაში მთავრობის წარმომადგენელსა და მასწავლებელთა შორის მომხდარ ინციდენტისა.

✦ მასწავლებელმა ისმაილ ხეცურიანმა გადასცა ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობას ანთიმოზ კეჩაყმაძისაგან ჭიათურის მახლობლათ მდებარე კლდეში ნახული ქვის ლოდი, რომელზედაც არის ლომის სახე—ბუნებრივია თუ ხელოვნური ამის შესახებ ცნობებს შემდეგ ვაცნობებთ მკითხველებს.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს იმ პირთ, რომელსაც წაღებული აქვთ საწევრო ფულის კვიტანციები, დააბრუნონ ქ. ნინო ბადრიძის ბინაზე. (გენერლის ქუჩა, ექიმი ბადრიძის სახლი).

✦ შეცთომის გასწორება გუშინწინ, 24 ივნისს დაბეჭდილ გრ. ვეშაპელის წერილში ,,შემცდარი გზა" შეპარულა შემდეგი კორექტურული შეცთომები:

დაბეჭდილია: ,,სიმბოლიზმი მარტო ევროპის კუთვნილება არის". უნდა იყოს —„სიმბოლიზმი მარტო ევროპის კუთვნილება არ არის".

იქვე დაბეჭდილია: ,,მთლად აღმოსავლეთს ეკუთვნის. უნდა იყოს—სიმბოლი მთლად აღმოსავლეთს ეკუთვნის".

დაბეჭდილია ვროპა ვერ მისწვდა... ქართველთა შეძლების აზიურ ნაკადულს, რომელიფეთქა პირველ ყოვლისა რუსეთში

უნდა იყო,,პირველ ყოვლისა რუსთველში". დღილია – „დანგე ალიგერის"—უნდაის—,,დანტე ალიგერის". დაბეჭდა—,,ილია ჭავჭავაძე და განდეგილი'უნდა იყოს—,,ილია ჭავჭავაძის ,,განდეგილი".

✦ ქუთაისის ერნატორმა ნება დართო სახელმწიფოთათფიროს წევრს ბ-ნ თედორე ისმაილს როდიჩევს, ამ მოკლე ხანში ქუთაი ზედიზედ წაიკითხოს ორი ლექცია: 1ა. ი. გენცენზე" და 2) „ახალი რუსე და ერობა".

✦ შაბათს, 2ა და კვირას 22 ივნისს, ქალაქის ტრში მსახიობ მგალობლიშვილის ი გამართულ წარმოდგენებს ხალხი ბამათ დაესწრო.

✦ 19 ივნისს თ. აზნაურო საადგილ-მამულო ბანი მოხდა თფილისის გუბერნიის მამულის მეორე ვაჭრობა. გამოცხადდა სუ 4 მამულიდან სამი. აქიდან 2 საჯარო გაიყიდა. ერთი კი ბანკს დარჩა, რომიც ბანკმა იმ დღესვე 400 მანეთის ფებით გაყიდა.

✦ ამიერკავკასი რკინის გზის სამოსწავლო განყოფილება სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგებას, აცნობოს მას როგორი ჯამაგირები ძლევა პირველდაწყებითი სასწავლებების მასწავლებლებს, აგრეთვე აცნობოს რა სახით ეძლევათ დამატებითი ჯამაგირები, ჯილდოები და ერთდროული დახმარებაო.

✦ კვირის ჩვენი გაზეთის ქრონიკაში მოყვანილი გვქონდ, რომ ლაბაძეს იცავდა ნაფ. ვექილი საყვარელიძე რაც მართალი არაა. ნაფ. ექ. საყვარელიძე იცავ და ბრალდებულ დვდარიანს, რომელიც სასამართლომ გაამართლა.

✦ 22 ივნისს დ ჭიათურაში შესდგა ეგნატე ნინოშვილის სალიტერატურო საღამო. საღამოზე პირველათ ჩიტო შარაშიძემ წაიკითხა ნინოშვილზე ლექცია რომელმაც საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. შემდეგ ახალ-გაზდა მწერლებმა გ. ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილმა და ვარ. რუხაძემ წაიკითხეს განსვენებულ მწერალზე ლექსები. საღამოს დიდი სადაც დარჩა.

✦ 27 ივნისს, საადგილ-მამულო ბანკში მოხდება მეორე საჯარო ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქის დაბებისა და ქალაქების მამულებზე.

✦ სოფელ კურსებში სამკითხველოს სასარგებლო წარმოდგენა, რომელიც უნდა გამართულიყო კვირას 22 ივნის, უამინდობის გამო, 6 ივლისსათვის გადაიდვა.

✦ 22 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე თავის ბინაზე თავის მოკვლის განზრავით კარბოლის სიმჟავე დალია დარია მიხ. რუდნოვამ. იგი მალე გადაიცვალა.

✦ როგორც ხმები დადის, ქუთაისში მაძებარი პოლიციის უფროსათ გადმოყავთ, ჩაჩავასმაგიერ ოზურგეთის ბოქაული გრიგოლაშვილი, ხოლო ჩაჩავა კი ისევ თავის ძველ ადგილზე დარჩება.

✦ 23 ივნისს, ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის ჭიის პარკი პირველი ხარისხის ფასობდა ფუთი 20 მან. და 10 შაურათ. მეორე 20 მან. და მესამე კი 19 მანეთად. ფასის დაკლება ავდრების მიზეზია.

✦ ხონში და სამტრედიაში პირველი ხარისხის გადის 20 მან. მეორე 19 მან. და მესამე კი 18 მანეთად ქ. ოზურგეთში საშუალო ხარისხის პარკი 18 მანეთად ფასობს.

✦ ამ ჟამათ წვიმების გამო სოფლებიდან ქუთ. ბაზარზე აბრეშუმის ჭიის პარკის შემოსვლამ ძალზე იკლო.

✦ 21 ივნისს მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია, აბდულ გუსეინ-ოღლის, მასე გუგავამ, ივანე კარტოზიას, ვლადიმერ გაბუნიას და კაშიბაძის სქმეები. მათ ბრალდებოდათ მოწამლული კონფეტების გაყიდვა და ცუდი არაყის შენახვა. სასამართლომ მათ თითოს 2 თვის ან ხუთ-ხუთი თუმნით დაჯარიმება მიუსაჯა.

✦ ამავე დღეს მომ. მოსამართლემ გაარჩია 20 ებრაელის საქმე, რომელთაც სანიტარული წესის დარღვევა ბრალდებოდათ. ისინი მოსამართლემ ორ-ორი მანეთით დააჯარიმა.

✦ პირველი სამოქალაქო 6 კლასიან სასწავლებლის ინსპეკტორი ბ-ნი გაგუა თხოვს ქალაქის გამგეობას, რათა სასწავლებლის შენობა შეკეთებულ იქნას.

✦ საფირჩხიის მეპურეების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. ისინი არც ნიხრის მიხედვით ყიდიან პურს და ცუდი ღირსებისასაც აცხობენ.

✦ ოკრიბაში დიდი შიმშილობა ყოფილა. ჯერ ყანები ავდრების გამო კიდევ გაუმარგელი ქონიათ. გლეხებს მომავალი მოსავლის იმედი ნაკლებათ აქვთ.

# ტფილისი.

—ხელოსანთა საზოგადო სახლი. თფილისის ხელოსნები მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე საზოგადო სახლს აშენებენ, სადაც მოთავსებული იქნება: ხელოსანთა კლუბი, სასადილო, თეატრი და ხელოსანთა გამგეობა. ამ დღეებში აირჩევენ საამშენებლო კომიტეტს.

—გაზეთი თემი სწერს: ჩვენ შემთხვევა გვქონდა წაგვეკითხა კ. ბალმონტის-მიერ რუსულათ ნათარგმნი „ვეფხის-ტყაოსნის" 16 ტაეპის შესავლიდან. თარგმანი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას [illegible] თარგმანი პოეტმა გამოუგზავნა [illegible] მარს, ალექსანდრე ყანჩელის მეუღლეს, თავ. როსებ ამირეჯიბის ასულს. როგორც ჩანს, რუსის მგოსანს უსარგებლნია ინგლისურ, რუსულ და გერმანულ თარგმნებით. პოეტს დაუბარებია აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები. პირველი ლექსიკონი ვაუგზავნა კიდეც ალ. ყანჩელმა. მეორე ლექსიკონი კი ძნელი საშოვარია ამ ჟამად. იქნებ ვინმემ დაუთმოს ეს თავისი წიგნი კ. ბალმონტს ამ დიდ საქმისთვის. ვთხოვთ, გვაცნობოს.

რუსულ ენაზე დაიბეჭდა საკმაოდ ვრცელი მოხსენება გორის მაზრის საერობო ინსტრუქტორის ზაქარია გიორგის ძის ჯავახიშვილისა მეხილეობის მდგომარეობის შესახებ ხსენებულ მაზრაში. ჯერ-ჯერობით თავ. ჯავახიშვილს გამოუკვლევია ტყვიავის და ხიდისთავის რაიონი. სასურველია ამგვარი მოხსენებები ქართულადაც იბეჭდებოდეს.

— ზოგიერთმა ნავთის მწარმოებელმა იჩივლა სასამართლოში და ათავისუფლებინებს მუშებს იმ ბინებს, რომელნიც ამათ ჰქონდა დაჭერილები იმათ სამრეწველოზე. ასზე მეტი ასეთი საჩივარი უკვე დაუწყვიათ ნავთისმწარმოებლებს და ამბობენ, საჩივრების რიცხვი ათასამდი ავაო. სამწუხაროთ ადმინისტრაცია ერევა წინანდებურად მუშათა და მწარმოებელთა საურთიერთო საქმეში.

— გაზ. „ბაქო" გადმოქვცემს, რომ თფილისის სომხურ გაზ. „ჰორიზონტს" აღუძრავს საკითხი გორის სომხურ ვიკარიატის აღდგენის შესახებ, რომელიც გაუქმებულ იყო ამ 10 წლის წინად. საკითხის აღძვრის მიზეზათ გაზ. „ჰორიზონს" ის მოჰყავს, რომ გორის მაზრაში 20,000 მეტი სომეხი მცხოვრებელია, რომელიც გარშემორტყმულია ქართველი ხალხით და შესაძლებელია დაკარგოს ნაციონალური სახე, ამიტომ საჭიროა მუდმივი ზრუნვა სკოლების გახსნისა და შენახვისთვის და გორის მაზრაში მცხოვრებ სომხების გონებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის.

## ღია ბარათი ბ. გ. ქურულს *)

ბრიუსელის და ახლო მახლო ქალაქებში მცხოვრები ქართველები ფრიად გაგვაკვირვა და თან გაგვახარა იმ ამბავმა, თქვენ რომ თფილისის გამგეობის მიტოვება დააპირეთ. გულში გვიხაროდა, რომ თქვენში კიდევ არ გამქრალა ქართველის კეთილშობილური სიამაყე. მაგრამ

*) ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

## საფრანგეთის იაკობინელები და ჩვენი სოციალდემოკრატები.

ხშირად გაიგონებ: ჩვენი სოციალდემოკრატები იაკობინელები არიანო.

მართალიც არის: ისინი იაკობინელები არიან თავისი ტაქტიკითა და, ასე გეშინჯეთ, რწმენითაც.

ას წელიწადზე მეტია, საფრანგეთის იაკობინელები რომ მოქმედებდენ. და მერცე საკუნის დამდეგს ჩვენში იგივე განმეორდა, რაც საფრანგეთში მოხდა მაშინ. ამიტომ, ვფიქრობ, არ არის სავსებით მართალი აზრი, ისტორია არ მეორდებაო.

დიაღ! ჩვენმა სოციალდემოკრატებმა გაიმეორეს, რასაკვირველია, მინიატიურულად, ის, რაც იაკობინელებმა ჩაიდინეს მეთვრამეტე საუკუნის გასულს. და საჭიროდ მიგვაჩნია ამ პარალლელის, მსგავსების აღნიშვნა, დასურათება.

ამიტომ აუცილებელია განხილვა მოკლედ მაინც იაკობინელთა მოღვაწეობისა, მათი დაბადებისა, გაძლიერებისა და დაცემის ისტორიისა, რომ ჩვენი სოციალდემოკრატიის მოქმედება უფრო ნათელვყოთ.

ისტორიული ფაქტები-კი, რომელთაც ვემყარები, უტყუარია და სარწმუნო, რადგან ისეთი სპეციალისტისაგან ვისესხე, როგორიც არის ა. ოლარი. (იხ. მისი: „პოლიტიკური ისტორია საფრანგეთის რევოლიუციისა".

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს საერო კრებამ 1789 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით მოქალქენი ორად გაჰყო: აქტივურ მოქალაქეებად, რომელთაც ჰქონდათ უფლება, ყოფილიყვნენ არჩეული საერო კრებასა და მუნიციპალიტეტში, და პასსივურ მოქალაქეებად, რომელთაც არა ჰქონდათ ეს უფლება. აქტივურ მოქალაქეს უნდა ჰქონოდა განსაზღვრული ქონებრივი ცენზი.

ამ დადგენილებას არ გამოუწვევია მაშინვე ხალხის მხრით პროტესტი. მაგრამ დემოკრატებმა თანდათან გააგებიეს ხალხს მისი უუფლებრივი მდგომარეობა.

უდიდესი მოაზრე და პირველი რესპუბლიკელი კონდორსეც უარყოფდა პირველად საყოველთაო არჩევნებს, მაგრამ ბასტილიის აღებას შემდეგ (14 ივლ. 1789 წ.) ის ცენზის მოსპობის მომხრე შეიქნა. და მან, როგორც ქალაქის თვითმართველობის (კომმუნის) პრეზიდენტმა, მოაწყო პირველი პროტესტი პარიზის უბნებისა საყოველთაო არჩევნების სასარგებლოდ (12 დეკემბრიდან 10 თებერვლამდი 1790 წ.)

იანვარში და თებერვალში 1790 წ. საქალაქო არჩევნების დროს მოქალაქეთა უმეტესი ნაწილი პროვინციებში ვარედ დარჩა. მაგრამ ამ გარემოებამ მაინცა და მაინც დიდი უკმაყოფილება არ გამოიწვია. ხალხი დაემორჩილა საერო კრების გადაწყვეტილებას.

18 აპრილს 1790 წ. საერო კრებამ დაადგინა: პარიზში აქტივურ მოქალაქეს უნდა ეხადა წელიწადში 35 ლივრი, ე. ი. მისი ბინის ქირა უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 750 ლივრისა ამ დეკრეტის ძალით, არა თუ დემოკრატია, არამედ ბურჟუაზიის უმეტესობაც კი გარიყული დარჩა. და იმავე კონდორსეს თაოსნობით პარიზის კომმუნამ წარუდგინა დამფუძნებელს საერო კრებას შესაფერი ადრესი.

ამას შემდეგ აგიტაცია საარჩევნო ცენზის წინააღმდეგ თანდათან გაძლიერდა. და ამ მოძრაობის დროს ჩაისახა ნასახი დემოკრატიული პარტიისა.

მაგრამ ეს პარტია გაჩნდა პირველად არა გლეხთა და მუშათა, არამედ შეძლებულ ბურჟუათა შორის. გლეხი გულგრილად უყურებდა თავის საარჩევნო უფლებას. ქალაქის მუშებიც არ გამოიდებდენ მისთვის თავს, რომ მარატისა და სხ. პატრიოტების მოწოდებას არ ჩაეგონებიათ მათთვის მათი დარღვეული უფლების აღდგენის საჭიროება.

ამ მოძრაობის სათავეში იდგა ორიოდე პოლიტიკური მოღვაწე. მთელი 1790 წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა მათი პროტესტი საარჩევნო ცენზის წინააღმდეგ.

დემოკრატია ჯერ მოუწყობელი და უძლური იყო.

მაგრამ მუნიციპალური მოძრაობა 1789 და 1790 წლ.—ღრმად დემოკრატიული იყო. თვითმართველობანი, ქალაქები შეერთდენ, შეადგინეს ძმური კავშირნი, კონფედერაციები. და ამ მოძრაობამ გააერთიანა, გახადა ერთ მამულად საფრანგეთი.

მალე შეიტყვეს, რომ მონარქიული ევროპა ამზადებდა კოალიციას საფრანგეთის წინააღმდეგ. და ამან დაბადა ჩანასახი რესპუბლიკური პარტიისა. უკვე დაიწყეს წერა რესპუბლიკაზე. რესპუბლიკა, რომლის შესახებაც არავინ არა სწერდა ერთი თვის წინად, ახლა სადავო საკითხად გახდა.

1790 წლის დეკემბერში უკვე იყო რესპუბლიკური პარტია. და ეს პარტიაც იშვა არა მუშათა შორის, არამედ იმავე ბურჟუაზიის წიაღში. მაგრამ მეფის გაქცევამდის მას ჯერ არ ჰქონია გავლენა ხალხზე.

1790 წლიდან ჩნდებიან პოლიტიკური კლუბები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს დემოკრატიის გაძლიერების საქმეში. იაკობინელთა კლუბი, რომელშიაც იყვნენ მოწინავე დემოკრატები, მაგალითად, რობესპიერი, ბურჟუაზიული იყო, ე. ი. შესდგებოდა აქტივურ მოქალაქეთაგან. უფრო დემოკრატიული იყო კორდელიერების კლუბი.

ამ კლუბის მეთაურობით გაჩნდენ კიდევ ახალი, სახალხო კლუბები, რომლებშიაც მონაწილეობდნენ პასსივური მოქალაქენიც. ერთი ამგვარი დემოკრატიული საზოგადოება იკრიბებოდა თვით იაკობინელთა კლუბში.

ამ საზოგადოებათა მეთაურები უკითხავდენ მოწვეულთ ახალ კანონებს და ასწავლიდენ სამოქალაქო უფლებას.

ამ სახალხო კლუბებს უდიდესი დემოკრატიული მნიშვნელობა ჰქონდათ. იქ განმტკიცდა ერთობა ბურჟუათა და პროლეტართა, მამაკაცთა და დედაკაცთა შორის. აქიდან გავრცელდა იდეა საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და საზოგადოდ დემოკრატიული წესწყობილებისა. მაგრამ ამ კლუბებში ჯერ არ წარმოთქმულიყო სიტყვა „რესპუბლიკა".

1790 წლის აგვისტოში იაკობინელთა კლუბს 152 განყოფილება, 1791 წ. აპრილში კი 2000 განყოფილება ჰქონდა პროვინციებში.

როგორცა ვთქვით, კლუბები ცდილობდენ შეეკავშირებიათ, შეეერთებიათ საზოგადო ძალები, ამიტომ პირველად ზე მიერი მიზანი ჰქონდათ: საარჩევნო ცენზის გაუქმება.

პოლიტიკურ კლუბებს გარდა, იყვნენ კიდევ აგრეწოდებული ფედერაციანი. ფედერაციათ შეადგენდენ ეროვნული მილიციონერები, რომელნიც ფიცით აღუთქვამდენ ერთმანეთის მეგობრობასა და ეროვნული კრებისადმი მორჩილობას. ეს მილიციონერები არ იყვნენ სავსებით დემოკრატები, რადგან შესდგებოდენ აქტივურ მოქალაქეთაგან.

ცენზის გაუქმების მოძრაობა თანდათან გაძლიერდა. მოძრაობის მეთაური შეიქნა რობესპიერი. ამ აგიტაციამ უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია ივნისში 1791 წ., როდესაც შეიკრიბენ პირველი ხარისხის საარჩევნო კრებანი. და, თუმცა ეს კრებანი აქტიურ მოქალაქეთაგან შესდგებოდენ, ბევრმა მათგანმა მოითხოვა საარჩევნო ცენზის გაუქმება.

მაგრამ ივნისში 1791 წლ. დემოკრატიული პარტია ჯერ კიდევ საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენდა, რესპუბლიკელები კი ამ უმცირესობის მხოლოდ პატარა ჯგუფს შეადგენდენ.

19 თებერვალს 1791 წ. წავიდა საზღვარგარეთ მეფის ოჯახის ზოგიერთი წევრი. ხალხი შიშმა შეიპყრო,ვაი თუ მეფეც გაიქცესო. ეშინოდათ, უცხო სახელმწიფოები არ მოგვესიონ, არ გვილალატოსო. და 1791 წ. 26 მარტის ნომერში გაზ. „პარიზის რევოლიუციამ" უკვე აღნიშნა მეფობის გაუქმების აუცილებლობა. შემდეგ იგივე გაიმეორეს სხვა გაზეთებმაც. გაზაფხულზე 1791 წ. რესპუბლიკელთა რიცხვი გაძლიერდა, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ არც მარატი, არც რობესპიერი და არც სხვა მეთაურები დემოკრატიული პარტიისა არ იყვნენ ჯერ რესპუბლიკელებად.

ამგვარად 1790 წლის ბოლოს რომ ევროპის მონარქებმა კავშირი შეკრეს ლუი მეთექვსმეტესთან საფრანგეთის წინააღმდეგ, ამ გარემოებამ, ე. ი. სამხედრო განსაცდელმა, გააძლიერა დემოკრატია და შექმნა რესპუბლიკური პარტია. ამ გარემოებამვე დაბადა აზრი რევოლიუციის გა-

-მავე გაზეთებიდან შევიტყეთ, თუ რამდენათ ნაადრევი, უსაფუძვლო ყოფილა ჩვენი სიხარული. თქვენ უკან წაიღეთ თქვენი გადაწყვეტილება და კვლავ დაბრუნდით ერევნის მოედნის სასახლეში. თქვენ თურმე „მათ" დაგარწმუნეს, რომ ის „სილები" რომლითაც თქვენ გაგიმასპინძლდნენ და რომელიც ალბათ სამაოთ საგრძნობელი იყო, რომ უარი გათქმევინეს თფილისის მუნიციპალიტეტში სამსახურზე, და რომელმაც აალელვა მთელი ქართველი საზოგადოება, თურმე სილები კი არა, თქვენი ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა... ვინ იცის, კიდევ რა არ გითხრათ თქვენდა, და უმეტესათ ქართველი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომის დასამშვიდებლათ, ფრიად ენა-წყლიანმა **ალექსანდრე ივანიჩმა**. თქვენც დაუჯერეთ, უკან წაიღეთ თქვენი სიტყვა, შეურიგდით თქვენს თვალთმაქც „ხაზეინებს" და განაგრძობთ მათთან ერთგულ სამსახურს, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი, იმედია, შემდეგშიაც არ მოგაკლებენ გამამხნევებელი მუჯლუგუნებით თავაზიანობას.

ჩვენი საქმე არ არის, თქვენს კერძო ცხოვრებაში გავერიოთ და თქვენს შინაურ ურთიერთობას შევეხოთ, მაგრამ, როდესაც თქვენ თვითონ მიეცით ამ ინციდენტს საზოგადო ხასიათი, აქ ყველა ქართველის მოვალეობაა, მსჯავრი დასდვას თქვენს მოქმედებას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას. ჩვენის აზრით, ყველა საზოგადო მოღვაწის ვალია, ანგარიში გაუწიოს იმ ერს, რომელსაც ის ეკუთნის, იმ დროს, როცა მისი მოქმედება სცდება ვიწრო პირად საქმიანობის ფარგლებს და საზოგადო ინტერესებს ეხება.

განა თქვენთვის და ყველასთვის ცხადი არ არის, რომ თქვენ შეურაცხგყვეს, როგორც ექიმი და ამავე დროს, როგორც ქართველი, რომელსაც ძალაუნებურათ, დიპლომატიური მოსაზრებით, გითმენენ თფილისის გამგეობის ავან-ჩავანი?! თქვენ სიტყვა მოგცეს გახსნილ ალაგზე დაენიშნათ ქართველი ექიმი, რომლის კანდიდატურაც თქვენ წამოაყენეთ, მაგრამ... მაგრამ რაც მოხდა ამას შემდეგ, თქვენც კარგად იცით. თქვენ პროტესტი განაცხადეთ ასეთი უკვარო და დასაგმობ საქციელის წინააღმდეგ და საჯაროთ აღიარეთ, რომ თქვენ, როგორც შეურაცხყოფილი ქართველი, თავს ანებებთ სოლოლაკებთან თანამშრომლობას. თქვენი თანამემამულეები თანაგრძნობის ტაშს უკრავდნენ ასეთს თქვენ გაბედულ მოქმედებას. მაგრამ გავიდა დღე, ორი და **ხეტისიანცის** ჯადოსნური ლოღიკით მოხიბლული, თქვენ კვლავ იჭერთ მოკლე ხნით დაობლებულ მაგისტრატის სავარძელს. ჯაბარს ალბათ თქვენ მაგიერათ თვითონ შერცხვა, რომ ასე გულწრფელათ გიამბოთ ყველა ის, რაც მოხდა გამგეობის საიდუმლო დეპარტამენტში და თქვენც ხელმეორეთ აღელდით, მაგრამ აქაც ხმოსნების ცინიკურმა რეზოლუციამ გული მოგილბოთ, დაგამოშმანათ.

განა ყველა ეს მწუხარების მომგვრელი საქციელი იმ ზნიანი ბავშის ჭირვეულობას ეს მოგვაგონებს, რომელიც ჯერ გაიბუტება და შემდეგ კი ტკბილეულობით მოსყიდული ისევ შეურიგდება თავის შეურაცხმყოფელს? ამის შემდეგ რა გავლენა და ავტორიტეტი უნდა გქონდესთ თქვენ ჩვენს შეურაცხმყოფელთა ბანაკში; „я удовлетворен и остаюсь членом управы"—ეს არის თქვენი პასუხი ჩვენი საზოგადოებისადმი; ნუთუ ვერ ხედავთ, თუ რა ჩირქი მიაპოვეთ ამით? განა თქვენი და პოლიტეხნიკუმის ინციდენტი ერთი და იგივე წყაროდან არ გამომდინარეობს? განა ვერ ხედავთ ამგვარ ფაქტებში ჩვენი ერის არსებობის დაუცხრომელი მტრების გამუდმებულს, განუსაზღვრელ, ერთი ბოროტი განძრახვით გამსჭვალულ მოქმედებას? ხომ დღესაც მოიპოვებიან ჩვენში ისეთი პოლიტიკურათ გულუბრყვილონი და ბეცი პიროვნებანი, რომელნიც გაიძახიან: ეჰ, სულერთია, სადაც უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი—ნავთლუღში თუ ვერაზე. მთელი დავიდარაბა ამის შესახებ სულ პრესის ბრალია, და უბრალო ლაპარაკია. ასეთი აზრი გამოსთქვა ერთმა ამასწინათ აქ ჩამოსულმა პირმა, რომელსაც ერთი წარჩინებული ალაგი იაგანი უჭირავს ერთს ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ბაასში ერთ ინგლისელ მეცნიერთან, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი ცხოვრებით და რომელსაც ჰსურდა საქართველოს ახალი ამბების გაგება.

ასეთია ჩვენი სიბრმავე და უმეცრება. ჩვენ თვალებზე ხელებს ვიფარებთ და არ გვსურს ანგარიში გავუწიოთ ყველა მას, რაც ჩვენი დაღუპისათვის მუშაობს და სამარეს უთხრის ჩვენ კეთილდღეობას. ჩვენ ყველა ადვილათ გვაჯერებს, რომ ყველაფერი უმნიშვნელო და წვრილმანია...

თქვენი შემთხვევაც უბრალო იყო, ბ. გიორგი?! ჰე, ღმერთმა მშვიდობა და მოთმენა მოგცესთ შემდეგისთვისაც. ჩვენ კი მივმართავთ ყველა მას, ვისაც კიდევ შერჩენია გრძნობის სიფაქიზე და ჭკუის გამჭრიახობა და მოვაგონებთ ძველი რომაელების ბრძნულ ფორმულას: Caveant consules, ne puid respublika datrimenti capita.

ქ. ბრიუსელის ქართველობის მაგიერ: სტუდ. ი. გორიძე. და დ. კასრაძე.

ქ. მონსის: მდივანი და მახარაშვილი

ქ. ჟამბლუს: ა. ორჯონიკიძე და ვ. გველესიანი

ქ. ლუვენის: მ. ქიმერიძე.

# რუსეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ლენის ამბების გამოძახილი.

შინაურ საქმეთა სამინისტროს ირკუტსკის სამოსამართლო პალატის პროკურორმა წარუდგინა თავისი დასკვნა როტმისტრის ტრეშჩენკოვის საქმის შესახებ, უკანასკნელის მიერ ლენის ამბების დროს გადაჭარბებულ ზომების, რაც მის უფლებას არ შეადგენდა, მიღების გამო. პროკურორი გადაწყვეტით არ ამბობს, თუ რამდენათ არის ტრეშჩენკოვი დამნაშავე და ამ საკითხის გადაწყვეტას ანდობს შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს, სადაც ამას მოკლე დროში განიხილვენ. (რ. ს.).

### დეკ. ვოსტორგოვი.

ცნობილი დეკ. ი. ვოსტორგოვი დაითხოვეს მოსკოვის საეპარქიო სამისიონერო საბჭოს თავჯდომარეობიდან. მის ადგილზე დანიშნეს სერპუხოვის ეპისკოპოსი არსენის. (დ)

### სენატორი გარინი.

სენატორი, გოფ. ვარაცი, თანახმათ თხოვნისა, ავათმყოფობის გამო, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან მუნდირითა და სენატორის სახელწოდებით... (დ.)

### ხალხის ჯანმრთელობის უმთავრესი სამართველო.

ხალხის ჯანმრთელობის უმთავრეს სამართველოს რუსეთში დაარსების პროექტი შემუშავდა და ივლისის პირველ რიცხვებში შეტანილ იქნება მინისტრთა საბჭოში განსახილველათ. უწყების სახელწოდება იქნება „ხალხის ჯანმრთელობის უმთავრესი სამართველო." იგი იქნება დამოუკიდებელი საუწყებო ერთეული. მის შესანახათ წლიწადში გადადებულ იქნება 400,000 მან. როგორც ამბობენ, ამ უწყების დაარსება ძლიერ მოუწონებიათ მაღალ წრეებში. ახალ უწყებას, როგორც ამბობენ, მიენიჭება უფლება თვალ-ყური ადევნოს იმპერიის მცხოვრებთა ფიზიკურ განვითარებას. (რ. ს.)

### პოლიტიკურათ კეთილსაიმედობის მოწმობები.

სახალხო განათლების სამინისტრომ ცირკულიარები დაგზავნა, რომლის ძალითაც პოლიტიკურად კეთილსაიმედობის მოწმობები უნდა იქნას წარდგენილი ეგზამენის დამჭერთა მიერ ეგზამენებამდი და მოწმობები ხარისხის მიღების შესახებ უნდა მიეცეს ეგზამენების გაოავების უმალვე. (რ. ვ.)

### „მუშათა სახლი".

ხარკოვში დაბრუნებულმა დეპუტაციამ, რომელმაც „მუშათა სახლი"-ს გამგეობის დავალებით ინახულა ცნობილი ქველმოქმედი ნ. ა. შახოვი, შეიტანა საადგილ მამულო ბანკში შახოვის მიერ შემოწირულ ფულიდან 5000 მან. ამ ფულით გადახდილ იქნა პროცენტები ვალისა. „მუშათა სახლის" საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, რომელიც უკვე დანიშნული იყო, აღარ მოხდება. (რ. ს.)

### ჟურნალისტების გადასახლება.

მინუსინსკიდან, ადმინისტრაციის განკარგულებით, გადაასახლეს ხუთი ადგილობრივი ჟურნალისტი. მათ შორის ციმბირის ცნობილი მკვლევარი—ანდრიანოვი. გადასახლების მიზეზათ დასახელებულია ჟურნალისტების მიერ ადგილობრივ „კრამოლურ" გაზეთ „მინუსინსკი კრაი"-ში თანამშრომლობა. (რ. ს.)

### სამეცნიერო ინსტიტუტი.

მოსკოვში გენერტის თავჯდომარეობით მოხდა სამეცნიერო ინსტიტუტის საზოგადოების გამგეობის სხდომა. განიხილეს ფიზიკური ინსტიტუტის აგების პროექტი. შენობას აავებს არხიტექტორი სოკოლოვი, რომელმაც აავო შანიავსკის უნივერსიტეტი. შენობის აგებას მალე შეუდგებიან. იგი დაჯდება 160,000 მან. ფიზიკური ინსტიტუტის საძირკველი ჩაყრილ იქნება აგვისტოს პირველ რიცხვებში. (რ. ს.)

### საეგზარხოსო კანდიდატი.

პეტერბურგს ჩამოვიდა სამარის არქიეპისკოპოსი პიტირიმი. სინოდის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ მის ჩამოსვლას კავშირი აქვს საქართველოს ეგზარხოსის დანიშვნის საკითხთან. არქიეპ. პიტირიმი ჯერ კურსკში იყო, შემდეგ გადაიყვანეს ვლადიკავკავში. გადაყვანიდან ერთი წლის შემდეგ იგი შეხვდა გრიგოლ რასპუტინს. ამას შემდეგ პიტირიმი გადაიყვანეს ბევრათ უკეთესსა და საპატიო სამარის კათედრაზე და ახლა კი წამოყენებულია მისი კანდიდატურა საქართველოს ეგზარხოსის ადგილზე. (რ. ს.).

# უცხოეთი.

## (ჟურნალ-გაზეთებიდან).

### ბურცევის გამომჟღავნება.

1907 წ. ჟორესის შეკითხვაზე დეპუტატთა პალატაში მაშინდელმა პრემიერმა კლემანსომ განაცხადა: რუსეთის პოლიტიკური პოლიცია პარიზში გაუქმებულია. შეკითხვა გამოიწვია ბურცევის მიერ იუსტიციის მინისტრის ბრიანის [illegible] განცხადებამ პარიზში, რუსეთის [illegible] პოლიციის არსებობის შესახებ. ახლა ბურცევი კვლავ შეეკითხა იუსტიციის მინისტრს ბიენვენიუ-მარტენს, რომ მიუხედავათ კლემანსოს განცხადებისა, რუსეთის პოლიტიკური პოლიცია პარიზში ამჟამათაც არსებობსო. ბურცევი ჩამოსთვლის ამ პოლიციის ორმოცდა ათამდი აგენტს, რომელნიც პარიზში ცხოვრობენ და უჩვენებს მათ სახელსა და გვარს და ადრესებს. იგი ამტკიცებს, რომ აგენტები თვალყურს ადევნებენ ემიგრანტებს, ახდენენ ჩხრეკას, რომ არსებობს ,,შავი კაბინეტი'', სადაც წერილებს ხსნიან და რომ აგენტები პროვოკაციასაც ეწევიანო. ხედავს რა აგენტების ამგვარ მოქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულობას, ბურცევი მოითხოვს დაინიშნოს გამოძიება მათი ,,მოღვაწეობის'' შესახებ, რომელთა სათავეშიც სდგას ვიღაც კრასილნიკოვი. ამბობენ, რომ ბურცევის ამ განცხადების გამო, პალატაში შეკითხვა იქნება შეტანილიო. (რ. ს.)

### რუსეთი და სპარსეთი.

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა რუსეთის ელჩს კორისტოვეცს ნოტა, რომელშიც უპირველესათ ყოვლისა გამოთქმულია სურვილი—გამოირკვეს და მოისპოს შახის გვირგვინის კურთხევამდი ყველა ის უთანხმოება, რაც არსებობს რუსეთსა და სპარსეთს შორის. შემდეგ ნოტაში სპარსეთი სთხოვს რუსეთს: ნუ შეუშლის ხელს სპარსეთის ფინანსიურ ადმინისტრაციას ჩრდილოეთ-პროვინციებში; აუკრძალოს რუსეთმა თავის საელჩოს აგენტებს ამავე პროვინციებში ჩაერიოს წმინდა ადმინისტრატიულ ხასიათის საქმეებში; უარი სთქვას ადერბეიჯანის გენერალგუბერნატორის, ამ ,,ტირანის, „ვარვარის'', როგორც ნათქვამია ნოტაში, დახმარებაზე; გაიყვანოს რუსეთმა სპარსეთიდან ჯარი, რადგან სპარსეთის ადმინისტრაცია და ჟანდარმერია თვითვე სცდილობენ დაამშვიდონ სახელმწიფო. (რ. ს.)

### პოლონელ ვექილთა კრება.

ქ. ლვოვში შემდგარი პოლონელ ვექილთა კრება დაიხურა. გამოტანილ იქნა მთელი რიგი რეზოლუციებისა პოლონეთის ადვოკატურის მომავალი რეორგანიზაციის. პროფესიონალური ეთიკის და ხალხის ინტერესების დაცვის საკითხების შესახებ. სხვათა შორის, ერთს რეზოლუციაში ნათქვამია, რომ, კრების აზრით, სამშობლოს სამივე ნაწილში ხელის შეწყობა და შუამავლობა პოლონელთა ადგილ-მამულის უცხოელთათვის მიყიდვის საქმეში არ ეკადრება პოლონელ ვექილსო. კრებამ ბევრი მისალმების დეპეში მიიღო. (რ.)

### პოლონელ ქალთა კრება.

ქ. კრაკოვში დაიხურა პოლონელ ქალთა კრება. მიღებულ რეზოლუციებ-

დატანისა, პროპაგანდისა ევროპაში და ინტერნაციონალური ძმობის იდეა.

მაგრამ, სანამ ხალხმა არ გაიგო, რომ ლუი მეთექვსმეტემ შველა სთხოვა ევროპის მონარქებს, არ უჯეროდა რესპუბლიკელებს და დემოკრატების უმეტესობა ხალხს რესპუბლიკისადმი არ მოუწოდებდა.

რესპუბლიკური პარტია მცირერიცხოვანი იყო. მას არ თანაუგრძნობდა გლეხობა და მხოლოდ ქალაქის მუშები ემხრობოდენ.

მეფე, გენერალ ბუილიესთან მოლაპარაკებას შემდეგ 1791 წ. ივნისის 20-ს ღამით გაიპარა, მაგრამ ვარენნში იცნეს 22 ივნისს და მოაბრუნეს პარიზში (25 ივნისს).

ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შიშმა შეიპყრო საფრანგეთი. ყველა მზად იყო თავი შეეწირა სამშობლოსათვის. რესპუბლიკელებმა თანაგრძნობა მოიპოვეს, მაგრამ ჯერ კიდევ უმცირესობას შეადგენდენ.

ფაქტიურად კი 21 ივნისიდან რესპუბლიკა იყო, რადგან მეფეს აღარაფერს კითხავდენ. და ამ ფაქტმა დაარწმუნა ხალხი, რომ საფრანგეთს შეეძლო გარდაქმნილიყო რესპუბლიკად.

საერო კრებამ ჩაიგდო ხელში უფლება. მაგრამ 15 ივლისს 1791 წ. დაადგინა, რომ ლუი მეთექვსმეტეს კი არა, მის მინისტრებს სდებს ბრალსა.

და უმეტესობას რესპუბლიკა ჯერ კიდევ არ მიაჩნდა აუცილებლად.

პარიზის სექციებში დიდი მოძრაობა შეიქნა. მაგრამ იაკობინელმა კლუბმა ჯერ კიდევ არ აღიარა რესპუბლიკა. ეს კლუბი კი მაშინ საზოგადო აზრის საშუალო მიმდინარეობის გამომხატველი იყო.

ბეჭდვითი სიტყვის ნაწილი მიემხრო რესპუბლიკას. კორდელიერების კლუბმა, რომელიც უკვე რესპუბლიკას აღიარებდა, მიიმხრო ზოგიერთი სექცია. ქუჩაზე „რესპუბლიკას" მოითხოვდენ. ზევით ხსენებული ძმობანიც რესპუბლიკას აღიარებდენ.

მუშები მოითხოვდენ მეფობის გაუქმებას, მაგრამ არ ესმოდათ რესპუბლიკის მნიშვნელობა.

მაგრამ ივლისში უკვე განელდა რესპუბლიკური მოძრაობა და ბევრი შესანიშნავი დემოკრატი, რომელი 21—22 ივნისს მიემხრო რესპუბლიკელებს, კვლავ უარყო რესპუბლიკა.

კორდელიერებიც კი აღარ თხოულობდენ რესპუბლიკას და სჯერდებოდენ მეფის გადაყენებას.

თუმცა დავა რესპუბლიკის შესახებ არ შემწყდარა. უდიდესი ფილოსოფოსი და მოაზრე კონდორსე რესპულიკას მიემხრო.

და 14 ივნისს 1791 წ. მარსის მინდორზე 300.000 კაცი მოითხოვდა მეფის გადაყენებას.

შემდეგ რესპუბლიკელებმა ბევრჯერ სცადეს, იძულებული გაეხადათ საერო კრება, გადაეყენებია მეფე. ამაოდ.

ბოლოს საერო კრებასა და პარიზის მერს მოსწყინდათ ლაპარაკი პეტიციონერებთან და 17 ივლისს 1791 წ. იარაღი იხმარეს მარსის მინდორზე შეკრებილი მანიფესტანტების წინააღმდეგ. და მინდორი მოქალაქეთა გვამებით აივსო.

მარსის მინდვრის ჟლეტამ ორად გაჰყო საფრანგეთი. ეს იყო დასაწყისი მინაგანი ბრძოლისა.

გაიყო კლუბი იაკობიანელთა: ზომიერებმა ცალკე კლუბი დააარსეს („ფეილიანტების").

ჩამოვარდა განხეთქილება საერო კრებაშიაც.

დაიწყეს დევნა დემოკრატებისა. ბურჟუაზიული გაზეთები სწერდენ, დემოკრატები საფრანგეთის დეზორგანიზაციას, დაშლას ხელს უწყობენო.

საეჭვო დემოკრატები ფარულად მოქმედებდენ.

ოკტომბერში 1790 წ., როდესაც ლუი მეთექვსმეტეს ორპირობა შეუტყვეს, მოხდა პირველი ხარისხის არჩევნები. ხალხი ემდუროდა მას. ამას გარდა აქტიურ მოქალაქეთა უმეტესობა არ ესწრებოდა არჩევნებს და ბევრი დემოკრატი იქნა არჩეული.

პარიზში 1791 წლის გაზაფხულზე დეპარტამენტის უმაღლეს მოხელეებად გამორჩენილი დემოკრატები აირჩიეს.

1 ოკტომბერს 1791 წ. შეიკრიბა ახალი საკანონმდებლო კრება. და, თუმცა ამ კრებაში ბევრი იყო დემოკრატი, მაგრამ არც დემოკრატები და არც რესპუბლიკელები არ მოითხოვდენ ჯერ რესპუბლიკას, მით უფრო, რომ კრების უმეტესობა—არა რესპუბლიკური იყო.

საკანონმდებლო კრება შეურიგდა მეფეს. მაგრამ მეფემ არ დაადასტურა კრების დეკრეტები სამღვდელოებისა და გადახვეწილი ემიგრანტების შესახებ. 1791 წ. 3 დეკემბერს მან გაუგზავნა წერილი საიდუმლოდ პრუსიის მეფეს: სთხოვდა შველას ევროპის მონარქებს. მეფის ეს ნაბიჯი მიაწერეს მინისტრების გავლენას ომს. დღე-დღეზე ელოდენ. ევროპის მონარქებს ეშინოდათ რევოლიუციისა და ემზადებოდენ მის ჩასაქრობად. ლუი მეთექსმეტესაც სწადდა ომი, რადგან აქიდან ელოდა თავისი ტახტის ხსნას.

პარიზში იფეთქა სამხედრო მოძრაობამ, რომელმაც გაიტაცა თვით საკანონმდებლო კრებაც.

საკანონმდებლო კრებამ ეჭვი შეიტანა მეფისა და მინისტრების გულწრფელობაში. შეშინებულმა მეფემ მოიწვია მინისტრებად იაკობინელები (12 მარტს 1792 წ.). ამ სამინისტრომ გამოუცხადა ომი ავსტრიის მეფეს 20 აპრილს 1792 წ.

პრუსსია მიემხრო ავსტრიას. პირველი მოქმედების დროს გამარჯვება მტერს დარჩა.

მაგრამ აპრილში და მაისში 1792 წ. რესპუბლიკას რობესპიერი და, ასე გაშინჯეთ, კამილ დემულენიც (უწინდელი რესპუბლიკელი) კი უარყოფდენ ჯერ.

20 ივნისს ხალხმა მიჰმართა პეტიციით საკანონმდებლო კრებას და შემდეგ შეიჭრა ტიულერის სასახლეში და მოსთხოვა მეფეს, დაედასტურებია საკანონმდებლო კრების დეკრეტები. მაგრამ ამ კრების მემარცხენე დემოკრატებს, იაკობინელებსა და ჟირონდისტებს, არ მიუღიათ მონაწილეობა ამ მანიფესტაციაში.

2 ივლისს მოვიდა ამბავი, ჩრდილოეთის ჯარმა უკან დაიხიაო. ამან გამოიწვია ვერნიოს სიტყვა, წარმოთქმული საკანონმდებლო ტრიბუნიდან ლიუ მეთექსმეტის ღალატის შესახებ.

ჯერ კიდევ 8 ივნისს დაადგინა საკანონმდებლო კრებამ, მოეწვია პარიზში 20.000 მოხალისე, ფედერატი, პირდაპირი კენჭის ყრით არჩეული, რომ დაეფარა კონსტიტუცია მეფის მომხრეთაგან (როალისტებისაგან). და ფედერატები დაიძრნენ პარიზისაკენ უფრო ადრე, ვიდრე მეფე ნებას დართავდა.

გამოაცხადეს, მამული განსაცდელშიაო, და 5,11 და 20 ივლისს საგანგებო ზომებს მიჰმართეს. საოლქო და მონიციპალური საბჭოების კრებანი აღარ უნდა შეწყვეტილიყვნენ. თითოეული მოქალაქე უნდა გამოცხადებულიყო მუნიციპალურ საბჭოში, ჩაწერილიყო მოხალისედ და ეცნობებია რამდენი ჰქონდა იარაღი და სამხედრო სურსათი. აუარებელი მოხალისე გაიწვიეს. მთელი საფრანგეთი შეიძრა.

15 ივლისს საკანონმდებლო კრებამ ნება დართო პარიზის სექციებს, ჰქონოდათ შეუწყვეტელი კრებანი.

1 აგვისტოს მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება, დაერიგებიათ პასსიურ მოქალაქეთათვის შუბები.

3 აგვისტოს დეკრეტით, ვინც ომში გავიდოდა ან დაიჭრებოდა, აქტიური მოქალაქის უფლებას მიიღებდა.

ათ აგვისტოს ქალაქნი, კომმუნები, აჯანყდენ მეფის წინააღმდეგ, ივლისში ივნისში, და აგვისტოში იყო რესპუბლიკური მოძრაობა პროვინციების უმეტეს ნაწილში. მაგრამ არც პროვინციელნი ახსენებდენ სიტყვას ,,რესპუბლიკას'', რომელსაც რობესპიერმა სახელი გაუტეხა.

29 ივნისს 1792 წ. ქ. მარსელის მერმა და მუნიციპალიტეტმა გამოსცეს პროკლამაცია: 1 ან 2 ივლისს ჩვენ ვგზავნით პარიზში 500 მარსელელს, რომელნიც აღჭურვილი არიან მამულის სიყვარულით, მამაცობით, იარაღით, სურსათითა და ბარგითო. ეს ის შესანიშნავი ბატალიონი იყო, რომელმაც თავი ისახელა ტიულიერის აღების დროს.

პროვინციებიდან მოდიოდა პეტიციები მეფის გადაყენების შესახებ.

18 ივლისს პარიზში უკვე 2,960 შეიარაღებული ფედერატი იყო. მაგრამ ნამდვილი, გულწრფელი რესპუბლიკელნი მარტო მარსელელნი იყვნენ.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
მაზიაზნის ხიდთან

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის

ძლიერ ზომიერ ფასად
ნამდვილი ინგლისური
შაბიამანი, გოგირდის ფქვილი, ქაქშენის სითხე

ვენახების საქიმო მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.
მანქანების ყოველგვარი რეზინები-სა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.
მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ფაიფურისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

...ში კრება მოუწოდებს პოლონელ ქალებს, ხელი შეუწყონ პოლონელთა ვაჭრობას და მრეწველობას და იყიდონ საქონელი მხოლოდ ქრისტიანებისაგან. შემდეგი კრება მომავალ წელს მოხდება ქ. კრაკოვში. (რ.)

## ბალკანეთის სოციალისტური კონფერენცია.

სოფიაში მოვიდა ბერძენ სოციალისტთა ლიდერი დრაკულისი, რომელმაც გამოიარა ბუქარესტსა და ბელგრადში. მან უნდა გამოარკვიოს — შესაძლებელია თუ არა სოფიაში მოხდეს ბალკანელ სოციალისტთა კონფერენცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სოციალისტთა საერთო ტაქტიკა ბალკანეთში მშვიდობიანობის დამყარების საკითხის გამო. დრაკულისმა, სოციალისტთა ლიდერებს გარდა, ინახულა აგრეთვე ბევრი ოფიციალური პირი და ყველამ კარგათ მიიღო.

(რ. ვ.)

## პასუხათ ბ-ნ „როკიანელს" *)

პატივცემულს გაზ. „იმერეთი"ს 51-ე ნუმერში ვიღაც „როკიანელმა" მოათავსა კორესპონდენცია სოფ. სიმონეთის შესახებ, რომელიც მტკნარ სიცრუეზე არის აშენებული. ბ. „როკიანელი" მრუდსა და მართალს ერთ კალაპოტში ამწყვდევს და შეუბრალებლათ სთელავს ფეხქვეშ. იგი ამბობს; თითქოს აქ ყველას სადათას ძილით ეძინოს, არაფერი კულტურული დაწესებულება არ არსებობდეს, „მრავალრიცხოვანი" ინტელიგენცია გაცხრომასა და ქეიფში ატარებდეს დროს და სხვა...

წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ბ. „როკიანელი" სრულებით ვერ იცნობს სოფ. სიმონეთს, თორემ ასეთ, ყალბ ცნობებს რედაქციას არ მიაწოდებდა, რადგან აქ საკრედიტო ამხანაგობა 10 აპრილიდან უკვე არსებობს. სიმონეთის სამკითხველო ყოველდღე ღია არის მკითხველთათვის და არასფერი იმისი მზგავსი იმაში არ ხდება, რასაც ბ. როკიანელი სწერს, რომ ეს ასეა, ამას ადგილობრივი მკვიდრნიც დაადასტურებენ. მკითხველთა რიცხვიც ნორმალური ჰყავს ხსენებულ სამკითხველოს, სოფლის პირობების მიხედვით.

თუმცა ბევრი არის, მაგრამ მათი უმრავლესობა სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს. სიმონეთის ყოველ კულტურულ დაწესებულებას უმცირესობა უდგია სათავეში. აი, ამ უმცირესობამ, გარდა საამხანაგო ბანკისა და სამკითხველოს დაარსების, იმეცადინა ის, რომ სიმონეთის საზოგადოებამ 16,400 მანეთი გადასდვა სიმონეთის საზოგადოებაში სკოლების ასაშენებლათ, რომლის ნახევარიც უკვე შეტანილია ხაზინაში, მხოლოდ დანარჩენიც ამ წელშივე უნდა შეეტანათ, მაგრამ საყოველთაო შიმშილობამ შეაფერხა საქმე.

არც ქეიფსა და განცხრომას ამ სოფელში არავითარი ადგილი არ აქვს, რაც შემიძლია, თუ გარემოება მოითხოვს, დავამტკიცო უტყუარი ფაქტებით.

სოფელ სიმონეთში, ბ. „როკიანელო", ოთხი სკოლაა: ორი სამინისტრო და ორიც სამრევლო, გთხოვ უმორჩილესათ დაასახელოთ, რომელი მასწავლებელია, და ან რომელი სკოლაა ის, რომელსაც თქვენ ასე „ქებითა და დიდებით" იხსენიებთ?!

სიმართლე.

*) რედაქციას არ აქვს შეძლება ყველა კორესპონდენტების ცნობები შეამოწმოს და ამიტომ იგი ენდობა კორესპონდენტთა კეთილსინიდისიერებას.

14 ივლისს მარსის მინდორზე ფედერაციის დღესასწაულის დროს არავის არ დაუძახია, „გაუმარჯოს მეფესო", მაგრამ არც რესპუბლიკა უხსენებიათ.

პირველად რობესპიერი ურჩევდა ფედერატებს, არ მოეთხოვათ რესპუბლიკა. მაგრამ 15 ივლისს ბილიო ვარენი ამბობს იაკობინელთა კლუბში: განვდევნოთ მეფე და დავაწესოთ. საყოველთაო არჩევნები და რეფერენდუმიო. კრებამ დაადგინა, დაებეჭდა მისი სიტყვა და დაეგზავნა იაკობინელთა კლუბის პროვინციული რტოებისათვის. ერთი წლის წინად კი იაკობინელთა კლუბმა რესპუბლიკელებს ფშტვენითა და ყიჟინით უპასუხა!

17 ივლისს ფედერატებმა მოსთხოვეს საკანონმდებლო კრებას მეფის გადაყენება.

20 ივლისს ფედერატების კომიტეტმა მიჰმართა ადრესით საფრანგეთის 83 დეპარტამენტს: ჩვენ ვრჩებით პარიზში, რომ ვებრძოლოთ სასახლესო.

ყველა დემოკრატიული გაზეთი, რესპუბლიკური და არარესპუბლიკური, ერთხმად ჰქადაგებდა მეფის გადაყენების აუცილებლობას.

პროვინციებიდან ჩამოსული ფედერატები შეუკავშირდენ პარიზის სექციებს. ამათ მედგრად მოითხოვეს საყოველთაო არჩევნები (ივლისში). და 3 აგვისტოს საკანონმდებლო კრებამ დაადგინა: მიეცეს აქტიური მოქალაქის უფლება ყველას, ვინც ჯარში იქნება გაწვეულიო.

25 ივლისიდან პარიზის ყველა სექციის კრებანი შეუწყვეტლად გამოაცხადეს. სექციებმა შეადგინეს ფედერაცია. 48 სექციიდან 47-მა აირჩია კომისარები, რომელნიც იკრიბებოდენ მუნიციპალიტეტის შენობაში. 3 აგვისტოს წარუდგინეს საკანონმდებლო კრებას პეტიცია მეფის გადაყენების შესახებ. შემდეგ დღეებშიაც იგივე მოითხოვეს.

9 აგვისტოს სექციებმა უკანასკნელად მოითხოვეს მეფის გადაყენება. საკანონმდებლო კრებამ ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდო.

10 აგვისტოს ხალხი აჯანყდა. რევოლიუცია უმთავრესად ფედერატებმა მოახდინეს. მეფე გამოცხადდა საკანონმდებლო კრების დარბაზში. კრებამ მფარველობა აღუთქვა, მაგრამ, როდესაც ამბავი მოვიდა, ფედერატებმა შვეიცარიელები დაამარცხეს და სასახლე აიღესო, უარყო მეფე და დააწესა ახალი სამოქალაქო ფიცი, რომლიდანაც მეფის სახელი გამოტოვებული იყო. ამასთანავე კრებამ გამოსცა ორი დეკრეტი: მეფის დროებით გადაყენებისა და საერო კონვენტის მოწვევის შესახებ.

კრებამ დანიშნა დროებითი აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შესდგებოდა 6 მინისტრისაგან. პირველ მინისტრად იქნა არჩეული დანტონი.

ამ საბჭოს მოქმედება დაიწყო 15 აგვისტოს 1792 წ. და გაგრძელდა 19 აპრილამდის 1794 წლისა (30 ჟერმინალი 2 წლისა)

დანტონი იყო ნამდვილი თავი ამ საბჭოსი. მისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით პრუსიელები გაბრუნდენ უკან და საფრანგეთს ასცდა მტრის შემოსევა.

ისარა.

(შემდეგი იქნება).

## დაბა-სოფელი.

სოფ. ნარაზენი (ოდიში). ეს სოფელი დაშორებულია დაბა ზუგდიდს თორმეტი ვერსის მანძილზე და ხობს კი რვა ვერსის მანძილზე. ზენაპირი ნარაზენისა მოთავსებულია უსწორ-მასწორო და ოღრო-ჩოღრო ადგილებში. ნიადაგი ამ სოფლისა სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში არის შავი მიწა, დასავლეთ-ჩრდილოეთ ნაწილში — აყალო — წითელი მიწა. ამ უკანასკნელ ნაწილში იზრდება მრავალი მუხა და წიფელა. მეორე ნაწილი მდ. ცხენისწყლის მახლობლათ უფრო სახნავ სათეს ადგილს წარმოადგენს. დასავლეთ-ჩრდილოეთით ამ სოფელს მაღალი ადგილი უჭირავს და აქვს სალი და მთელი ჰაერი. ამ სოფელში ხშირი გვალვა იცის. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ 1906 წლიდან უთვალავი ხე მოიჭრა პროცერის საარყო ზავოდისათვის. ნარაზენელები მისდევენ უფრო სიმინდისა და ღომის მოყვანას. ამ უკანასკნელ დროში ზოგიერთები აშენებენ აგრეთვე ნამყენ ვაზებს, რომელიც აქ ძლიერ ვარგობს. თუმცა მიწის ნიადაგი შედარებით სხვა მახლობელ სოფლებთან მეტათ მწირია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მოსავალს მაინც კარგს იძლევა, რაც უნდა მიეწეროს მცხოვრებთა დაუღალავ შრომა-ჯაფას. მხოლოდ გასულ წლის გვალვებმა აქაც გაჭირვებაში ჩააგდო ხალხი. მცხოვრები ყველა გლეხები არიან, დაახლოებით 400 კომლამდია. თუმცა ყოველგვარ კულტურულ საქმეს ნარაზენელები დიდის სიამოვნებით ეგებებიან და ყოველი ახალი საქმე მათში დიდ თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ ეს სოფელი მაინც ჩამორჩენილია სხვა სამეგრელოს სოფლებს. მიზეზი ამისა ის არის, რომ საზოგადო საქმისადმი სწავლა-ენერგიით აღჭურვილი პირნი არ არიან ამ სოფელში. ზოგიერთი მოინტელიგენტე პირნი უფრო „დუქანში" ბანქოს თამაშს გადაჰყოლია. აქ ძალიან მოკიდებული აქვს ფეხი ერთმანეთის კინკლაობას და „დანოსობასაც".

ამ სოფელში არსებობს ერთადერთი ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა, რომელიც სექტემბრიდან, თანახმათ საზოგადოების დადგენილებისა, უნდა გადაკეთდეს ორკლასიანათ. ქართული ენის სწავლება ამ შკოლაში, როგორც სხვა სამეგრელოს სამინისტრო სკოლებში, მარტო ქაღალდზე ფორმულურათ ჩანს და ნამდვილად კი არ ისწავლება. მართალი რომ ვსთქვათ, სამინისტრო შკოლების მეთვალყურე ხელს არ შეუშლის მასწავლებელს ბ. ახალაიას, თუ ის — კეთილინებებდეს ამ საგნის რიგიანათ სწავლებას. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ძალიან ნაკლებათ გვყავს შკოლებში იდეიურათ მოსამსახურე მასწავლებლები და გაბიუროკრატებული კი ბევრნი. მადლობის ღირსია ყველა ის პირი, რომელთაც შეუწყვეს ხელი ამ შკოლის გადაკეთებას და მით სწავლა-განათლებას საძირკველი ჩაუყარეს ამ სოფელში. იმედია, ამ განახლებულ შკოლაში ქართული ენის სწავლებაც რიგიანათ იქნება დაყენებული.

ხოჯანა.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

დაიწყო ხელის მოწერა

ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენითვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით ქუთაისი, ბაღის ქუჩა (Садовая ул.) სერ. გერსამიას.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში მთავრიშვილის, ოსხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ისკვიპარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნინა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან; თფილისში სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. ბაქოში აქ ივანე ელიაშვილთან თელავში ივანე პაატაშვილთან სიღნაღში კახეთის ხმის რედაქციაში ქიათურაში პლატონ ლექავასთან ყვირილაში კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში აბასთუმანი ნიკ. აბესაძესთან წალვერში ალ. ცირეკიძესთან ხორაგაულში ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან მარელისში მასწ. მ. დეკანოსიძესთან მოლითში მასწ. ს. ლამბაშიძესთან სამტრედიაში ის. სტურუასთან აბაშაში ალექსანდრე ესაკიასთან ახალ-სენაკში ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან ფოთში მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან ლანჩხუთში შოთა ვადაჭკორიასთან, ოზურგეთში გიორგი მუმლაძესთან ჩოხატაურში გრ. თავდგირიძესთან აცანაში შუხუთში ჩიბათში და ლესაში ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან ბათომში ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში ოჩამჩირეში თეოფილე ხუსკივაძესთან ნოსირში მომხმარებელ საზოგადოებაში ხობში პროვიზორ ოგანეზოვთან წინმძღვარიან კარში ნესტორ ძიძიგურთან ონში ილ. გოგიასთან ალპანაში სამსონ ფრუიძესთან ზუგდიდში იოსებ გოგიასთან ხონში კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან სოხუმში პლატონ გელოვანთან ბანძაში ესტატე მონივასთან განჯაში ტრიფონ თაბუკაშვილთან ნოღლევში აქსენტი ფარულავასთან ნახუნავოში ბეგლარ ფალავასთან მალლაკში ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან ამაღლებაში მარიამ ჩიჯავაძესთან ბაღდათში გ. ახვლედიანთან მათხოჯში ლავ. ძიძიგურთან კავკავში იასონ ლორთქიფანიძესთან სადმელში, ქრეპალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში, სვირში და სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. გურიასა, რაჭასა და საჯავახო ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები




ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

## სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წროულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.